ბრძანება:**ბ24. 242401828**
თარიღი:**18/01/2024**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

   ა) ბესიკი ჭეჟია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

   ბ) თეონა ხუფენია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

   გ) თენგიზ შანავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

   დ) თემურ ჯიქია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

   ე) ლაშა ადეიშვილი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

   ვ) გიგა მელია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზ) ნუკრი მარგველანი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილების უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

თ) ირაკლი ციმაკურიძე - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ი) რუსლან კილასონია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის კონსულტანტი ინფრასტრუქტურუს საკითხებში (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი) - სამუშაო ჯგუფის წევრი;

კ) მაგდალინა თოდუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილების უფროსი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ლ) აქსანა გუჩუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის წევრი.

2. სამუშაო ჯგუფის წევრებმა იხელმძღვანელონ 2018 წლის 28 დეკემბრის ''საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის N654 დადგენილებისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულების შესაბამისად.

3. სამუშაო ჯგუფს დაევალოს:

- პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან;

- საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;

- მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;

- ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით;

- საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება;

- მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის FACEBOOK-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის;

- პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზების წინადადებების

მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა;

- მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა.

4. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 16 იანვრის N№24.242301617 ბრძანება.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი” 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12).

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი